საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1708/01
23/02/2022

1708-01-2-202202231028

სს „საქართველოს რკინიგზას“
მის: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. 15

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2022 წლის 15 თებერვალს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი №2717 განცხადება, რომელიც ეხება თბილისი-მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში, მოლითი - ხაშურის სარკინიგზო უბნის (მათ შორის სოფ. ზვარეს მიმდებარედ დაგეგმილი კმ 20+760- 23+060 მონაკვეთის) პროექტში შეტანილ ცვლილებებს და გაცნობებთ შემდეგს:

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, მიმდინარე სამუშაოების უზრუნველყოფისათვის გამოყენებულია ზვარეს და ბეჟათუბნის არსებული სამშენებლო ბანაკები, სადაც მოწყობილია ბეტონის კვანძები, რაც წარმოადგენს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარულ წყაროს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი. გარდა ამისა, ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი სახით, ორ ეგზემპლარად;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044